შიდა ქართლში სარწყავ სისტემებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს

27 იანვარი

საქართველოს მელიორაცია ტირიფონის მაგისტრალურ არხზე სარემონტო სამუშაოებს ატარებს.

ნატანი მასისა და ხე-ბუჩქნარისაგან სოფელ კარბისა და ქერეს ტერიტორიაზე არხის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

გატარებული ღონისძიებების შედეგად არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 1500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის - ტყვიავის, ფლავის, ფლავისმანის, მეჯვრისხევის, ზერტის, ამვის, ახალუბნისა და ჯარიაშენის მოსახლეობა ისარგებლებს.

სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

6 თებერვალი

საქართველოს მელიორაცია შიდა ქართლში სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

გორის მუნიციპალიტეტში აღდგენითი სამუშაოები უტარდება მაგისტრალურ და წყალგამანაწილებელ არხებს.

ეწყობა რკინაბეტონის ფილები და სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობები.

აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების 2000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სტაბილურად მოირწყვება.

ქიჩიკის მაგისტრალური არხი იწმინდება

14 თებერვალი

ქვემო ქართლში, სოფელ ჯანდარაში გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

ექსპლუატაციის პროგრამით, ნატანი მასისა და ხე-ბუჩქნარისაგან ქიჩიკის მაგისტრალური არხის ჯამში 3 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 3000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს.

აღნიშნული ფართობით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის, ნაზარლოსა და ვახტანგისის მოსახლეობა ისარგებლებს.

გაწმენდითი სამუშაოები საქართველოს მელიორაციამ საკუთარი ძალებით მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და თებერვლის ბოლოს დასრულდება.

სამელიორაციო სამუშაოები მტკვარი-ჯანდარის სარწყავ სისტემაზე

1 მარტი

ქვემო ქართლში მტკვარი-ჯანდარის სარწყავი სისტემის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

ნატანი მასისა და დანალექი გრუნტისგან წყალგამანაწილებელი არხის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმენდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის გამტარუნარიანობას გაზრდის, შედეგად სარწყავი წყლის მიწოდება 250 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით სოფელ ნაგების, ბირლიკისა და ქალაქ გარდაბნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მოირწყვება.

სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს

7 მარტი

კახეთში, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში 3500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

სოფელ ვეჯინის, კოლაგის, ბაკურციხისა და კარდენახის ტერიტორიაზე ნატანი მასისა და ხე-ბუჩქნარისაგან მაგისტრალური არხის ჯამში 7 000 მეტრი სიგრძის მონაკვეთი იწმინდება.

ექსპლუატაციის პროგრამით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია ახორციელებს.

გაწმენდითი სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გატარებას უზრუნველსაყოფს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვას.

სამუშაოები მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და დასრულდების ეტაპზეა.

ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია

12 მარტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ოთარ შამუგია
შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორთან, დავით წითლიძესთან, კახეთის ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან და მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ მენეჯერთან ერთად, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 26 მლნ ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელიც მარჯვენა მაგისტრალური არხის მეორე რიგის წყალგამანაწილებლების რეაბილიტაციას, დახურული, 128 კმ სიგრძის მილსადენის მოწყობასა და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონტაჟს ითვალისწინებს.

პროექტის განხორციელების შედეგად ქალაქ საგარეჯოს, სოფელ ნინოწმინდის, გიორგიწმინდისა და წყاროსთავის
5000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემა წესრიგდება

25 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ქვეყნის მასშტაბით აქტიურად განაგრძობს.

ამჯერად სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მოლიან-ჩალიანის დამშრობ მასივზე მიმდინარეობს.

სოფელ ჭანიეთის, ცხემლისხიდისა და გურიანთას ტერიტორიაზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან სხვადასხვა კატეგორიის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება, ჯამში 12 კილომეტრი.

სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც მუნიციპალიტეტში 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურებას აღადგენს.

დამშრობ მასივზე მიმდინარე სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთრი ძალებით ახორციელებს მაისში დასრულდება.